არაკომერციული და არამოგებიანი ორგანიზაციების სტატისტიკური გამოკვლევის განახლება კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების და ამ სფეროში დასაქმების დასადგენად	რეგიონული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტატისტიკა	არამოგებიანი, არაკომერციული ორგანიზაციების სტატისტიკური კვლევის შერჩევის ზრდა	საქსტატი	2024	10 000 ლარი ყოველწლიურ ად	ბ. შესრულდა ნაწილობრივ 2024 წლიდან გამოსაკვლევ ორგანიზაციათა რაოდენობა გაიზარდა 500-დან 1000-მდე. შერჩევის ზომის ზრდის მიუხედავად, 2024 წლის გამოკვლევის შედეგები არარეპრეზენტატულია.

შრომის სტატისტიკის წარმოება NUTS კლასიფიკაციით	რეგიონული შრომის ბაზრის სტატისტიკა	რეგიონულ დონეზე ხელმისაწვდომი ინდიკატორების წარმოება	საქსტატი	2024	სამუშაო ძალის გამოკვლევის განახლება	ბ. შესრულდა სრულად.
საავტომობილო ტრანსპორტის სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის Standard Goods Classification for Transport Statistics/Revised (NST/R) კლასიფიკაციის შესწავლა	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება მეთოდოლოგიის და კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით, კომუნიკაცია ევროსტატთან	საქსტატი	2024	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე	ბ. შესრულდა სრულად.
მყიდველობითი უნარის პარიტეტის სტანდარტით მშპ-ის გაანგარიშება	რეგიონული ეკონომიკური ანგარიშების სტატისტიკა	საჭირო რესურსების და ღონისძიებების გეგმის მომზადება, ექსპერტთა ჩართულობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეთოდოლოგიის და შემუშავების მიზნით	საქსტატი	2024	-----	ბ. შესრულდა ნაწილობრივ მიმდინარეობს მყიდველობითი უნარის პარიტეტის სტანდარტით მშპ-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიის გაცნობა.
რეგიონული მშპ-ის გაანგარიშების და ფასების სტატისტიკის წარმოების არსებული პრაქტიკის შეფასება	რეგიონული ეკონომიკური ანგარიშების სტატისტიკა	საჭირო რესურსების და ღონისძიებების გეგმის მომზადება, ექსპერტთა ჩართულობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეთოდოლოგიის და შემუშავების მიზნით	საქსტატი	2024	-----	ბ. შესრულდა ნაწილობრივ მიმდინარეობს ფასებისა და ეროვნული ანგარიშების არსებული მონაცემების შეფასება.
ევროპულ ანგარიშთა სისტემის (ESA 2010) მეთოდოლოგიის შესწავლა	რეგიონული ეკონომიკური ანგარიშების სტატისტიკა	საჭირო რესურსების და ღონისძიებების გეგმის მომზადება,	საქსტატი, დონორები	2024	-----	ბ. შესრულდა ნაწილობრივ მიმდინარეობს ESA 2010-სა და SNA 2008-ს შორის არსებული განსხვავებების შესწავლა. საქსტატმა ოფიციალურად

		ექსპერტთა ჩართულობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეთოდოლოგიის და შემუშავების მიზნით				მიმართა ევროსტატს ESA 2010-ზე გადასვლასთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ. ESA 2010 მეთოდოლოგიის დანერგვა წარმოადგენს 2024-2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ აქტივობას.
ჰოსპიტალური საწოლების კლასიფიკაციის შესწავლა	რეგიონული ჯანდაცვის სტატისტიკა	ექსპერტული დახმარების მისაღებად მოთხოვნის შემუშავება	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, საქსტატი	2024	-----	ა. შესრულდა სრულად.
NUTS კლასიფიკაციით შრომის სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებისათვის გეგმის შემუშავება	რეგიონული შრომის ბაზრის სტატისტიკა	შრომის ბაზრის დამატებითი ინდიკატორების წარმოებისათვის გეგმის შემუშავება, არსებული გამოკვლევების შერჩევის ზომისა და რესურსების გათვალისწინებით	საქსტატი	2025	სამუშაო ძალის გამოკვლევის განახლება	ბ. შესრულდა ნაწილობრივ. არსებული გამოკვლევების შერჩევის ზომისა და რესურსების გათვალისწინებით, მიმდინარეობს შრომის ბაზრის დამატებითი ინდიკატორების წარმოებისათვის საჭიროებების განსაზღვრა რის საფუძველზეც შემუშავდება გეგმა NUTS კლასიფიკაციით შრომის სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებისათვის.
კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტუალიზაცია	რეგიონული განათლების სტატისტიკა	აქტუალიზაციის კვლევის ჩატარება	საქსტატი	2025	85 000 ლარი	
კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია	რეგიონული განათლების სტატისტიკა	ავტორიზაციის პროცესის განხორციელება და დასრულება	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2025	-----	
კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოკვლევაში ჩართვა	რეგიონული განათლების სტატისტიკა	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კერძო სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	2025	-----	

		ინფორმაციის შეგროვება				
საპილოტე გამოკვლევა საავტომობილო ტრანსპორტის წლიური ტვირთბრუნვის მონაცემების მისაღებად	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	კვლევის ჩატარება	საქსტატი	2025	230 000 ლარი საპილო- ტესტის	ბ. შესრულდა ნაწილობრივ. მიმდინარეობს მუშაობა შემოსავლების სამსახურთან მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით.
შემოსავლების სამსახურის მონაცემების დამუშავება საავტომობილო ტრანსპორტის წლიური ტვირთბრუნვის მონაცემების მისაღებად	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	ბაზების დამუშავება	საქსტატი	2025	50 000 ლარი საპილო- ტესტის	ბ. შესრულდა ნაწილობრივ. მიმდინარეობს მუშაობა შემოსავლების სამსახურთან მონაცემთა ბაზების მიღებასთან დაკავშირებით.
სასოფლო მეურნეობების ძირითადი მაჩვენებლების, მიწის გამოყენების, გამოყენებული სამუშაო ძალისა და მეურნეობების მართვის, პირუტყვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჯგუფის ინდიკატორების მეთოდოლოგიური შესწავლა	რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა	ექსპერტის დაქირავება	საქსტატი, დონორები	2025	15 000 ლარი	ბ. შესრულდა ნაწილობრივ დაწყებულია საკითხის შესწავლა
ფერმერთა რეესტრისთვის საჭირო რესურსების შეფასება	რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2025	-----	ა. შესრულდა სრულად „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამინისტრო კოორდინაციას უწევს ინტეგრირებული ადმინისტრირებისა და კონტროლის ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნას, რომელიც ურთიერთდაკავშირებული მონაცემთა ბაზებისგან შედგება და მათ შორის მოიცავს ფერმერული მეურნეობებისა და სოფლად არსებული საწარმოების რეესტრს.
სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ანგარიშების ინდიკატორებზე მუშაობა	რეგიონული სოფლის	სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის	საქსტატი	2025	-----	

	მეურნეობის სტატისტიკა	მონაცემებზე დაყრდნობით ინდიკატორების თვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების სცენარის და შესაბამისი შეფასების მეთოდის დამუშავება				
ადგილობრივი ერთეულების რაოდენობის განსაზღვრა	რეგიონული სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა	ბიზნეს რეგისტრის დამუშავების მიერ მიღებული შედეგების ანალიზი	საქსტატი	2025	-----	
ადგილობრივი ერთეულების განსაზღვრა	რეგიონული სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა	საჭირო რესურსების და ღონისძიებების გეგმის მომზადება ინფორმაციის წყაროების დაზუსტების და შეფასების მიზნით	საქსტატი	2025	-----	
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობის განსაზღვრა რეგიონებისთვის	რეგიონული განათლების სტატისტიკა, რეგიონული დემოგრაფიის სტატისტიკა, რეგიონული ჯანდაცვის სტატისტიკა	დემოგრაფიული სტატისტიკის ახალი მოდელის დანერგვა	საქსტატი	2026	-----	ბ. შესრულდა ნაწილობრივ. ტარდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც საფუძვლად დაედება მოსახლეობის რეგისტრს.
თანამშრომელთა ცოდნის ამაღლება, სხვადასხვა დემოგრაფიული ანალიზისა და პროგნოზების პროგრამების შესწავლა და სხვა ქვეყნის გამოცდილების მიღება.	რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკა	სამუშაო გეგმის მომზადება	საქსტატი, დონორები	2026	-----	ბ. შესრულდა ნაწილობრივ • მოსახლეობის პროგნოზების სატესტო/სამუშაო ვერსიები მომზადებულია,

ექსპერტთა ჩართულობით მეთოდოლოგიის შემუშავება მოსახლეობის პროგნოზების საწარმოებლად რეგიონების და მუნიციპალიტეტების მიხედვით						<ul style="list-style-type: none"> • აქტივობა ჩართულია Twinning-ის პროექტში, რომელიც დაიწყო 2024 წლის მაისში.
მოსახლეობის რეგისტრის შექმნაზე მუშაობის დაწყება	რეგიონული დემოგრაფიის სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, დონორები	2026	-----	<p>ბ. შესრულდა ნაწილობრივ</p> <ul style="list-style-type: none"> • შეიქმნა მოსახლეობის რეგისტრის დანერგვის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი; • შემუშავებულია გზამკვლევის პირველი სამუშაო ვერსია; • შემუშავებულია მოსახლეობის რეგისტრის დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების სამუშაო ვერსია; • აქტივობა ჩართულია Twinning-ის პროექტში, რომელიც დაიწყო 2024 წლის მაისში.
სასოფლო მეურნეობების ძირითადი მაჩვენებლების, მიწის გამოყენების, გამოყენებული სამუშაო ძალისა და მეურნეობების მართვის, პირუტყვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჯგუფის ინდიკატორების წარმოებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების მობილიზება	რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა	ახალი თანამშრომლების აყვანის საჭიროების განხილვა	საქსტატი, დონორები	2026	65 000 და შემდგომ ყოველწლიურად (იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება ახალი თანამშრომლების აყვანა)	
შრომის დანახარჯების სტატისტიკის ინდიკატორებისთვის საჭირო მონაცემების მიღება საწარმოების და ორგანიზაციების გამოკვლევებიდან	რეგიონული შრომის დანახარჯების სტატისტიკა	კითხვარის ტესტირება რამდენიმე შერჩეული საწარმოს მაგალითზე, რათა მათ წარმოადგინონ ინდივიდუალური მონაცემები დასაქმებულების მიერ ჯამური	საქსტატი	2026	-----	

		ნამუშევარი საათების შესახებ				
შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების დამატებითი მაჩვენებლის წარმოება NUTS 2 დონეზე	რეგიონული ციფრული ეკონომიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტატისტიკა	გამოკვლევის შერჩევის ზომის გაზრდა	საქსტატი	2026	30 000 ლარი თავდაპირველად და ყოველწლიურად შერჩევის ზომის ზრდის მიძნით	
თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მდინარის აუზის მტკნარი წყლის რესურსების ინდიკატორის წარმოების მიზნით	რეგიონული გარემოსდაცვითი სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2027	-----	
მდინარის აუზებში დაკვირვების წარმოებისთვის და ინდიკატორის გაანგარიშებისთვის საჭირო ლოჯისტიკური რესურსები (მაგალითად, საველე მანქანები, წყლის მზომი ხელსაწყოები, სამივლინებო ხარჯები და ა.შ.) შეძენა	რეგიონული გარემოსდაცვითი სტატისტიკა	მდინარის აუზების ტექნიკური უზრუნველყოფა	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2027	3 000 000 ლარი	ბ) შესრულდა ნაწილობრივ (მეტეოროლოგიური სადგურ/საგუშაგოების შეძენა, წყლის ხარჯის მზომი ხელსაწყოების შეძენა, სამივლინებო ხარჯები - 2 410 538 ლარი)
სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის განახლება	რეგიონული ტურიზმის სტატისტიკა	გამოკვლევის კითხვარის განახლება სასტუმრო ნომრების და ადგილების დატვირთვის მონაცემების მიღების მიზნით	საქსტატი	2027	-----	
სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის მოცვის სრულყოფა	რეგიონული ტურიზმის სტატისტიკა	სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის გენერალური ერთობლიობის სრულყოფა (შესაძლებელი	საქსტატი	2027	40 000 ლარი დამატებით და შემდგომ ყოველწლიურად	(შესრულება შესაძლებელი იქნება განთავსების ობიექტების სავალდებულო რეგისტრაციის შემთხვევაში)

		იქნება განთავსების ობიექტების სავალდებულო რეგისტრაციის შემთხვევაში)				
შრომის დანახარჯების სტატისტიკის ინდიკატორებისთვის საჭირო მონაცემების მიღება საწარმოების და ორგანიზაციების გამოკვლევიდან	რეგიონული შრომის დანახარჯების სტატისტიკა	კითხვარის ტესტირებიდან მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შემდგომი ქმედებების დაგეგმვა	საქსტატი	2027	დამოკიდებული იქნება დაგეგმილ ქმედებებზე	
EU SILC-ის გამოკვლევის მეთოდოლოგიის შესწავლა	რეგიონული სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის სტატისტიკა	საჭიროებების ჩამონათვალის და სამუშაო გეგმის მომზადება ტექნიკური დახმარების მიღების მიზნით	საქსტატი, დონორები	2027	-----	

სპეციფიური კომპონენტების შესრულების მდგომარეობა

✚ „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ (S3) პლატფორმასთან დაკავშირებული ცალკეული პრიორიტეტული ინდიკატორები

ინდიკატორი	სექტორი (კლასიფიკაციის შესაბამისად)	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	შესრულების მდგომარეობა (ა. შესრულდა სრულად, ბ. შესრულდა ნაწილობრივ, გ. არ შესრულდა. საჭიროებისამებრ კომენტარებით)
ეკონომიკური, ინოვაციური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინდიკატორები ²				

² აღნიშნული 10 ინდიკატორიდან მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 არ იფარება უშუალოდ „ჰარმონიზაციის გეგმის“ ფარგლებში, რამდენადაც ამ ეტაპზე არ წარმოადგენს NUTS-ის სისტემის ზუსტად შესატყვის ნაწილს. თუმცა, მათი სხვა ინდიკატორებთან მჭიდრო ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, რაც მხოლოდ ერთობლიობაში ხდის შესაძლებელს ასოცირების დღის წესრიგით და სხვა დოკუმენტებით გათვალისწინებული „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ ევროპული პლატფორმის ეფექტიან დაგეგმვას, საქსტატი სხვა უწყებებთან კოორდინაციით ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს.

ინდიკატორი	სექტორი (კლასიფიკაციის შესაბამისად)	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	შესრულების მდგომარეობა (ა. შესრულდა სრულად, ბ. შესრულდა ნაწილობრივ, გ. არ შესრულდა. საჭიროებისამებრ კომენტარებით)
1. კომპანიების რაოდენობა ³	NACE Rev. 2 ⁴ , მინიმუმ 3 ნიშნით	საქსტატი	2022	ა. შესრულდა სრულად. მონაცემები განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: http://br.geostat.ge/register_geo/ (10 - საქართველოში რეგისტრირებულ მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა რეგიონებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (NACE Rev. 2).
2. გაყიდვების მოცულობა (მომსახურება, საქონელი), ბრუნვა	NACE Rev. 2, მინიმუმ 3 ნიშნით	საქსტატი	2023	ა. შესრულდა სრულად. იმ დარგების იდენტიფიცირების შემდეგ, რომელზეც შესაძლებელია მონაცემების გავრცელება რეგიონების მიხედვით, NACE კლასიფიკატორის 3-ნიშნა დონეზე. ბრუნვის მონაცემები განთავსდა საქსტატის ვებ-საიტზე (თუმცა ასეთი დარგების რაოდენობა მცირეა).
3. დასაქმებულების რაოდენობა	NACE Rev. 2, მინიმუმ 3 ნიშნით	საქსტატი	2023	ა. შესრულდა სრულად. არსებული მონაცემთა ბაზების საფუძველზე მომზადდა და საქსტატის საიტზე გავრცელდა NACE Rev. 2-ის მიხედვით 2- და 3-ნიშნა დონეებზე საქმიანობის იმ სახეებისთვის, რომლებზეც არსებული მონაცემები რეპრეზენტატულია.
4. ხელფასები	NACE Rev. 2, მინიმუმ 3 ნიშნით	საქსტატი	2023	ა. შესრულდა სრულად. არსებული მონაცემთა ბაზების საფუძველზე მომზადდა და საქსტატის საიტზე გავრცელდა NACE Rev. 2-ის

³ მონაცემები ამ ინდიკატორისთვის ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე, ბიზნეს რეგისტრის განყოფილებაში, საიდანაც „პარმონიზაციის გეგმის“ მიხედვით, შესაძლებელია დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ ინფორმაციის მიღება კომპანიის საქმიანობის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის და რეგისტრაციის იურიდიული მისამართის მიხედვით.

⁴ კლასიფიკაცია „ეკონომიკური საქმიანობის სახეები - სეკ (NACE Rev. 2).

ინდიკატორი	სექტორი (კლასიფიკაციის შესაბამისად)	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	შესრულების მდგომარეობა (ა. შესრულდა სრულად, ბ. შესრულდა ნაწილობრივ, გ. არ შესრულდა. საჭიროებისამებრ კომენტარებით)
				მიხედვით 2- და 3-ნიშნა დონეებზე საქმიანობის იმ სახეებისთვის, რომლებზეც არსებული მონაცემები რეპრეზენტატულია.
5. ექსპორტი	SITC 4-ნიშნა ⁵	საქსტატი	2023	ა. შესრულდა სრულად
6. იმპორტი	SITC 4-ნიშნა	საქსტატი	2023	ა. შესრულდა სრულად
7. კომპანიების წილი, რომლებსაც გააჩნიათ: - ინოვაციური პროდუქტი - ინოვაციური პროცესები - ინოვაციის ამ ზემო 2 ტიპიდან ერთ-ერთი მაინც	NACE Rev. 2, მინიმუმ 2 ნიშნით	საქსტატი	2027	
8. კომპანიების წილი რომლებიც ახდენენ ინვესტირებას: - შიდა კვლევასა და განვითარებაში - გარე კვლევასა და განვითარებაში - მანქანა-დანადგარებში, მოწყობილობებში და პროგრამულ უზრუნველყოფაში - განათლებაში და პერსონალის ტრენინგში - სხვა ტიპის ინოვაციებში.	NACE Rev. 2, მინიმუმ 2 ნიშნით ⁶	საქსტატი	2027	
9. სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა		სგმს/ტექინფორმი საქსტატი ⁷	2022	ა. შესრულდა სრულად. (მონაცემები განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე:

⁵ საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაცია (SITC Rev. 4).

⁶ მონაცემების გავრცელება მოხდება საკმარისი სიხშირის და დაბალი შერჩევითი ცდომილების პირობებში.

⁷ ადგილობრივად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი „ტექინფორმი“ აგროვეს აღნიშნულ მონაცემებს და გააჩნია მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ქართულ რეფერატულ ჟურნალებში ასახული სამეცნიერო პუბლიკაციების ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს. „ჰარმონიზაციის გეგმის“ მიხედვით, ტექინფორმის მონაცემების გამოყენებით შესაძლებელია ამ ინდიკატორის წარმოება. ამისათვის კი საჭიროდ განისაზღვრა საქსტატის, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს და ტექინფორმის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რომელიც მოახდენს ინდიკატორის წარმოებისთვის საჭირო მონაცემების ინვენტარიზაციას და ინდიკატორის წარმოების პროცედურების და პერიოდულობის განსაზღვრას.

ინდიკატორი	სექტორი (კლასიფიკაციის შესაბამისად)	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	შესრულების მდგომარეობა (ა. შესრულდა სრულად, ბ. შესრულდა ნაწილობრივ, გ. არ შესრულდა. საჭიროებისამებრ კომენტარებით)
				https://www.geostat.ge/ka/modules/categories/194/metsniereba მონაცემები წარმოდგენილია მეცნიერების სფეროების OECD კლასიფიკაციის მიხედვით. მონაცემთა წყაროს წარმოდგენს ინსტიტუტი ტექნიკური და მოიცავს ინფორმაციას “ქართულ რეფერატულ ჟურნალში” გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ.
10. საპატენტო განაცხადების რაოდენობა		საპატენტი	2023	ა. შესრულდა სრულად შეთანხმებული ფორმატით მონაცემები მიწოდებულია საქსტატისთვის. მონაცემები გავრცელდა საქსტატის საიტზე https://www.geostat.ge/ka/modules/categories/194/metsniereba

დამატებითი ინფორმაცია და შემაჯამებელი კომენტარები

(პასუხისმგებელი უწყების მიერ)

2022

2022 წლის მდგომარეობით აღებული ვალდებულებები შესრულდა სრულად, კერძოდ:

S3 ინდიკატორი #1 - კომპანიების რაოდენობა და ინდიკატორი #9 - სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა, რასაც ითვალისწინებდა ჰარმონიზაციის გეგმის 2022 წლის გრაფიკი, სრულად და ეფექტიანად არის შესრულებული.

2023

2023 წლის მდგომარეობით ჯამში 11 ვალდებულებიდან: ა) 7 შესრულდა სრულად ბ) 4 შესრულდა ნაწილობრივ.

ა) სრულად შესრულდა (64%) - მათ შორის შესაბამის მონაცემთა მიღების მიზნით ჩამოყალიბებულია ოთხი სამუშაო ჯგუფი:

- (1) განახლებული საპატენტო განაცხადების შესახებ მონაცემების მიღების ფორმატის შეთანხმებები (სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება);
- (2) ტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად სექტორებში დასაქმების კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობა (სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და კომუნიკაცია ევროსტატთან);
- (3) თანამშრომლობა სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა და ტვირთის ნაკადების შესახებ მონაცემების მიღების მიზნით (სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება);
- (4) თანამშრომლობა სს საქართველოს რკინიგზასთან რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის და ტვირთბრუნვის მონაცემების მიღების მიზნით (სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება);
- (5) განახლებული საბილეთო სისტემის შექმნა (ამოქმედდება 2024 წლის მაისში);
- (6) მიღებული და გაგზავნილი ტვირთების მოცულობის აღრიცხვის სრულყოფა (განახლებული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა);
- (7) მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და გაწეული სამუშაოების რაოდენობა (კაც-დღე) სქესის მიხედვით, რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკისთვის - ინდიკატორის წარმოება (მონაცემების წარმოება რეგიონულ დონეზე).

ბ) ნაწილობრივ შესრულდა (36%) –

- (1) თანამშრომლობა ფინანსთა სამინისტროსთან კვლევასა და განვითარებაში ხარჯების და დასაქმების დასადგენად (სამუშაო ჯგუფის ფორმირება);
- (2) მიმდინარეობს საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება FORD 2007 კლასიფიკაციის გასაცნობად.
- (3) მიმდინარეობს საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება NABS 2007 კლასიფიკაციის შესასწავლად.
- (4) ნიადაგის წყლით ეროზიის მონაცემების მიღება.

* ამავდროულად, უკვე დაწყებულია სამუშაოები 2024 წლის ხუთი (5), 2025 წლის ერთი (1), 2026 წლის ორი (2) და 2027 წლის ორი (2) ვალდებულებების შესასრულებლად.

S3 ვალდებულებებთან დაკავშირებით 2023 წელს გათვალისწინებული ყველა (6) ინდიკატორი უკვე შესრულებულია.

შესაბამის რეგიონული დონის ინდიკატორებზე (გაყიდვების მოცულობა, დასაქმებულების რაოდენობა, ხელფასები, ექსპორტი, იმპორტი, საპატენტო განაცხადების რაოდენობა) უკვე მიმდინარეობს არსებული მონაცემთა ბაზების ანალიზი – NACE Rev. 2-ის მიხედვით 2 და 3-ნიშნა დონეებზე.

2024

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯამში 10 ვალდებულებიდან:

- 5 - შესრულდა სრულად (50%);
- 5 - შესრულდა ნაწილობრივ (50%).

5 შესრულდა სრულად (50%)

1. რეგიონული განათლების სტატისტიკის წარმოების მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის ISCED-F 2013 კლასიფიკაციის შესწავლა.
2. თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკურ გამოკვლევაში ჩართვის მიმართულებით.
3. შრომის სტატისტიკის წარმოება NUTS კლასიფიკაციით.
4. საავტომობილო ტრანსპორტის სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის Standard Goods Classification for Transport Statistics/Revised (NST/R) კლასიფიკაციის შესწავლა.
5. ჰოსპიტალური საწოლების კლასიფიკაციის შესწავლა.

5 შესრულდა ნაწილობრივ (50%) – მათ შორის საქსტატში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებით.

1. საპილოტე გამოკვლევა ბიზნეს სტატისტიკაში შესაბამის აქტიურ სექტორში კვლევისა და განვითარებაზე ხარჯების და დასაქმების დასადგენად - მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებით ინტერვიუების დატვირთულობის გამო გადაიდო 2025 წლისთვის;
2. არაკომერციული და არამოგებიანი ორგანიზაციების სტატისტიკური გამოკვლევის განახლება კვლევისა და განვითარებაზე ხარჯების და ამ სფეროში დასაქმების დასადგენად - 2024 წლიდან გამოსაკვლევ ორგანიზაციათა რაოდენობა გაიზარდა 500-დან 1000-მდე. შერჩევის ზომის ზრდის მიუხედავად, 2024 წლის გამოკვლევის შედეგები არარეგულარულად გამოქვეყნდა.
3. მყიდველობითი უნარის პარიტეტის სტანდარტით მშპ-ის გაანგარიშება - მიმდინარეობს მყიდველობითი უნარის პარიტეტის სტანდარტით მშპ-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიის გაცნობა.
4. რეგიონული მშპ-ის გაანგარიშების და ფასების სტატისტიკის წარმოების არსებული პრაქტიკის შეფასება - მიმდინარეობს ფასებისა და ეროვნული ანგარიშების არსებული მონაცემების შეფასება.
5. ევროპულ ანგარიშთა სისტემის (ESA 2010) მეთოდოლოგიის შესწავლა - მიმდინარეობს ESA 2010-სა და SNA 2008-ს შორის არსებული განსხვავებების შესწავლა.

ამავდროულად, უკვე დაწყებულია სამუშაოები 2025 წლის 5 აქტივობის (საიდანაც 1 უკვე შესრულებულია), 2026 წლის სამი (3) და 2027 წლის ორი ((საიდანაც 1 უკვე შესრულებულია) ვალდებულებების შესასრულებლად.

S3 ვალდებულებებთან დაკავშირებით 2024 წელს ინდიკატორები არ არის გათვალისწინებული.

დასკვნითი შეფასებები, გამოწვევები და რეკომენდაციები

(კოორდინატორი უწყების/ერთეულის მიერ)

2022

2022 წლის განმავლობაში, არსებული „ჰარმონიზაციის გეგმით“ გათვალისწინებული ამოცანები შესრულებულია სრულად.

კერძოდ, ხელმისაწვდომია სპეციფიური კომპონენტის, „ჰკვიანი სპეციალიზაციის“ (S3) ინდიკატორი #1 - კომპანიების რაოდენობა და ინდიკატორი #9 - სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა.

შესაბამის ვალდებულებათა შესრულების კუთხით, არსებითი ხასიათის გამოწვევები არ დაფიქსირებულა.

რეკომენდაცია:

S3 #9 ინდიკატორთან დაკავშირებით, აუცილებლად განისაზღვრა მონაცემთა სისრულის, ხარისხის და რეგულარული მიღების შემდგომი უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნით, მისასაღებელია პასუხისმგებელი უწყების პოზიცია, რომლის მიხედვით მიზანშეწონილად ჩაითვალა „ტექნიფორმთან“ შესატყვისი შეთანხმების გაფორმება და საჭიროებისამებრ, შესაბამისი რესურსების გამოყოფა.

✚ 2023

2023 წლის მდგომარეობით, ჯამში 11 ვალდებულებიდან:

- სრულად შესრულებულია - 7 (64%)
- ნაწილობრივ შესრულებულია - 4 (36%)

ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები და გეგმის მიხედვით მათზე მუშაობა დასრულდება 2024 წელს, ამავე წელს გათვალისწინებული ვალდებულებების პარალელურად.

აღსანიშნავია, რომ **წინმსწრებად** - ნაწილობრივ უკვე დაწყებულია 2024 წლის ხუთი (5), 2025 წლის ერთი (1), 2026 წლის ორი (2) და 2027 წლის ორი (2) ვალდებულებების შესრულება.

რაც შეეხება **ჭკვიანი სპეციალიზაციის სპეციფიურ ინდიკატორებს**, შესაბამის ვალდებულებებთან დაკავშირებით 2023 წლის გეგმით გათვალისწინებული ყველა (6) ინდიკატორი უკვე შესრულებულია.

✚ ამდენად, საქსტატის, ისევე როგორც სხვა პასუხისმგებელი უწყებების მიერ 2023 წლის შესაბამის ძირითად ვალდებულებათა შესრულების კუთხით, არსებითი ხასიათის გამოწვევები ამ ეტაპზე არ ფიქსირდება. ცალკეულ შემთხვევებში როგორც აღინიშნა, ადგილი აქვს ვალდებულებების წინმსწრებად შესრულების დადებით ტენდენციას.

რეკომენდაცია:

- გაგრძელდეს აქტიური სამუშაოები 2023 წელს დაწყებული აქტივობების შესაბამის ვადებში ეფექტიან დასრულებასთან დაკავშირებით.

(წინამორბედი, 2023 წლის 6-თვის ანგარიშის ძირითადი რეკომენდაცია, ისევე როგორც 2022 წლის ძირითადი რეკომენდაცია შესრულებულია. („მიზანშეწონილია დაჩქარდეს სამუშაოები ფინანსთა სამინისტროსთან კვლევასა და განვითარებაში ხარჯების და დასაქმების დადგენასთან დაკავშირებული აქტივობის დაწყებასთან მიმართებით“).

საქსტატთან ერთად, სხვა პასუხისმგებელი უწყებებიდან ინფორმაციის ანგარიშგების განსაზღვრულ ვადებში მიღების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შემდგომშიც უზრუნველყოფილ იქნეს წინასწარი ერთიანი კომუნიკაცია.

✚ 2024

2024 წლის მდგომარეობით, ჯამში 10 ვალდებულებიდან:

- სრულად შესრულდა - 5 (50%);
- ნაწილობრივ შესრულდა - 5 (50%);

ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები და გეგმის მიხედვით, მათზე მუშაობის დასრულება განსაზღვრულია 2025 წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ ნაწილობრივ უკვე დაწყებულია 2025 წლის ხუთი (1 უკვე შესრულებულია), 2026 წლის სამი (3) და 2027 წლის ორი (2) აქტივობის წინმსწრებ შესრულებაზე აქტიური მუშაობა.

რეკომენდაცია:

○ გაგრძელდეს აქტიური სამუშაოები 2024 წელს დაწყებული აქტივობების 2025 წელს შესრულებასთან დაკავშირებით.

○ შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებებიდან ინფორმაციის განსაზღვრულ ვადებში მისაღებად, აუცილებელია შემდგომშიც უზრუნველყოფილ იქნეს წინასწარი კომუნიკაცია.

ამდენად, საქსტატის, ისევე როგორც სხვა პასუხისმგებელი უწყებების მიერ 2024 წლის შესაბამის ძირითად ვალდებულებათა შესრულების კუთხით, არსებითი ხასიათის გამოწვევები ამ ეტაპზე არ ფიქსირდება. ცალკეულ შემთხვევებში როგორც აღინიშნა, ადგილი აქვს ვალდებულებების წინმსწრებად შესრულების დადებით ტენდენციას.